პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი

ოთხშაბათი, 31 აგვისტო, 1949 წ. № 173 (8476). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სტახანოველთა სახელოვანი არმია — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
სწავლაში ახალი წარმატებებისათვის (1-ლი გვერდი).
ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი (მე-2 და მე-3 გვერდი).
ვ. ჭიოკაძე—ისინი, ვინც სანგრევებსა და ლავებშია (მე-3 გვერდი).
ა. ბერთიაკაშვილი — ალექსანდრე რადიშჩევი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

სტახანოველთა სახელოვანი არმია

1935 წლის 31 აგვისტოს ჩვენი სამშობლოს ქვანახშირის მრეწველობის გულში — დონბასში ჩაისახა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი, ყველაზე ღირსშესანიშნავი მოძრაობა — სტახანოვური მოძრაობა. სტახანოვურ მოძრაობაში ნათლად აისახა საბჭოთა წყობილების დიდი უპირატესობა ყველა სხვა წყობილების წინაშე.

სტახანოვური მოძრაობის საფუძველი, როგორც ამას დიდი სტალინი გვასწავლის, ჩვეულნი გახდა მუშათა მატერიალური მდგომარეობის ძირფესვიანი გაუმჯობესება, ეფექტიანობის არარსებობა, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვა, ახალ ტექნიკას კარგად დაუფლებული მუშათა კადრების აღზრდა.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს კარგად აქვს შეგნებული ის ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა ქვეყანაში თვითეული მუშა „მუშაობს არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავისათვის, თავისი კლასისათვის, საზოგადოებისათვის... და თუ იგი კარგად მუშაობს და საზოგადოებას აძლევს იმას, რისი მიცემაც შეუძლია, — იგი შრომის გმირია, იგი დიდებითაა შემოსილი“ (სტალინი).

ამიტომ მოვდო ასე სწრაფად მთელ ჩვენს თვალწინდან სამშობლოს სტახანოველთა მოძრაობა. ამიტომ გიგანტელი სტახანოვური მოძრაობა ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში — მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში. სტახანოვურმა მოძრაობამ, სტახანოველთა რიგების უსწრაფესმა ზრდამ გადამჭრელი როლი შეასრულა ომამდელი ხუთწლედების წლებში. სტახანოვურმა მოძრაობამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია გმირ საბჭოთა არმიას ვერაგ მტერზე გამარჯვების მოპოვებაში. სტახანოვური მოძრაობა მყარი საფუძველია ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის საბჭოთა ხალხს თავდადებულ ბრძოლაში.

სტახანოველები — სოციალისტური შრომის ეს ნოვატორები, რომლებიც საფუძვლიანად არიან დაუფლებულნი თავიანთ პროფესიას, ახალ ტექნიკას, ყოველდღიურად შრომითი მამაცობის ნიმუშებს გვიჩვენებენ ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თვითეულ საწარმოში, სოფლის მეურნეობაში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ჩვენ მრავლად გვყავს სახელმოხვეჭილი, საყოველთაოდ ცნობილი, წარჩინებული სტახანოველები, მაღალაყოფიერი შრომის ოსტატები. ეს ადამიანები დროს უსწრებენ, გამომშვებელის დღიურ ნორმებს სამ-ოთხმაგად და უფრო მეტად ასრულებენ. მათი რიცხვი უამრავია. მაგრამ ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია რამდენიმე მათგანის საწარმოო მაჩვენებლის დასახელება. თბილისის სარეორედმცველო დეპოს ელექტროშემდეგლებელმა ვ. პატარაკალიშვილმა სამნახევარ წელიწადში თექვსმეტი წლის ნორმა გამოიმეშავა. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველი ტ. ედოვინა სამ პირად ხუთწლედს ამთავრებს. ორი ხუთწლედის ნორმები კარგა ხანია უკან მოიტოვეს სტალინის სახელობის თბილისის ორთქმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარჩინებულმა სტახანოველებმა ზ. ნადირაძემ, კ. ილურიძემ, გ. გამხუამელმა და ათობით სხვა სტახანოველმა.

ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებულ სტახანოველთა, უხვი მოსავლის ოსტატთა გმირულ შრომაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენ გვყავს ასობით სოციალისტური შრომის გმირი და ათასობით ორდენოსანი კოლმეურნე. დღეს ჩვენ ვებეჭდავთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას გასულ წელს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლის მიღებისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, აგრეთვე ბრძანებულებას, რომლის მიხედვით სოფლის მეურნეობის თერმეტი მოწინავე — სოციალისტური შრომის გმირი, რომელთაც შარშანდელი მაჩვენებლებით სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლება მოიპოვეს, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. ამ ბრძანებულებებს ჩვენი ხალხი უდიდესი სიხარულით შეხვდება. ეს ბრძანებულებანი ახალი, სოციალისტური, სტახანოვური შრომის გაძარჯვების კიდევ ერთი მაჩვენებელია.

სტახანოვური მოძრაობა წლითიწლობით ადის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. საბჭოთა სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას ემსახურება სტახანოველთა თითოსნობით მიმდინარე წელს ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში დაწყებული ფართო მოძრაობა საწარმოთა საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოსათვის ზეგეგმითი მილიონებების განთავისუფლების, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამომშვები ბრიგადების ჩამოყალიბების, დაზგა-დანადგარების სრული ნაყოფიერებით გამოყენების, წარმოებაში მაღალი კულტურის დანერგვისათვის ბრძოლის, ლითონის ჩქარი ჭრის მეთოდების დანერგვის და სხვათა შესახებ. ყველა ამ საპატიო და ფრიად სასარგებლო წამოწყების ავანგარდში სტახანოველები—სოციალისტური შრომის ნოვატორები არიან.

დღითიდღე მრავლდება სტახანოველთა რიგები, მაგრამ მრავალრიცხოვან სტახანოველებთან ერთად, ჩვენ ჯერ კიდევ გვყავან ისეთი მუშები, რომლებიც გამომუშავების ნორმებსაც ვერ ასრულებენ. ჩვენი მიზანი ის არის, რომ თვითეულ მუშას შეეუქმნათ მაღალაყოფიერი შრომის პირობები, გავხდეთ ისინი სტახანოველები. კადრის მუშებმა, წარჩინებულმა სტახანოველებმა ახალგაზრდა მუშებს დაუზარებლად უნდა გადასცენ თავიანთი მუშაობის მდიდარი გამოცდილება, საფუძვლიანად დაეუფლონ ისინი ახალ ტექნიკას.

ჩვენში ყოველგვარი პირობებია შექმნილი სტახანოველთა რიგების განუწყვეტელ ზრდისათვის. ამ პირობების უნარიანი გამოყენება, სტახანოველთა რიგების განუწყვეტელ ზრდა ქალაქში და სოფლად ჩვენი პარტიული, სამეურნეო, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების საპატიო ამოცანაა.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-9 ტომის გამოცემა სომხურ ენაზე

ერევანი. (საკუთარი). სომხეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა სომხურ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-9 ტომი. ტომი დასაბეჭდად მომაზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალმა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა** და **ციტრუსოვანთა ნაყოფის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, მენინეთო **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medaლი **„ნამგალი და ურო“:**

1. **აბესაძეს** ვარლამ მილოსის-ძეს — მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც თავისი მეშუამბეთ უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 31,9 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

2. **ანდრეადის** გერასიმე პანაიოტის-ძეს — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს, რომელმაც 33,4 ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარზე მოიყვანა 5.235 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

3. **ანთაძეს** გურამ მიხეილის-ძეს — მშრომელთა დეპუტატების ჩოხატაურის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 42,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

4. **ახვლედიანს** ძიკა მიკეს ასულს — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.808 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

5. **ბაბილოძეს** ანა მათეს ასულს — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.100 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

6. **ბაბულაძეს** ჰორიე ახმედის ასულს — ქობულეთის რაიონის ხეცუბნის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 9.835 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

7. **ბაჯელიძეს** ზინა ტიტიკოს ასულს — მახარაძის რაიონის ბუდიონნის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.850 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

8. **ბაკურიძეს** სალიხ ოსმანის-ძეს — ბათუმის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 800 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 514 ფორთოხალი.

9. **ბარამიძეს** გოგუცა კალისტრატეს ასულს — ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.164 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

10. **ბახტაძეს** შურა სამსონის ასულს — ზუგდიდის რაიონის ჩუბერის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 1 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 12.487 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

11. **ბერიძეს** ასია ჰუსეინის ასულს — ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.240 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

12. **ბერიძეს** ჰუსეინ მახმუდის-ძეს — ბათუმის რაიონის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 400 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.412 მანდარინი.

13. **ბრუნჯაძეს** ვასაბე იბრაიმის ასულს — ბათუმის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.318 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

14. **ბულისკერიას** ლუბა სიკოს ასულს—გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 10.215 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

15. **ბულისკერიას** კალისტრატე ბადრას-ძეს — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.732,5 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

16. **ბულისკერიას** ციტი ნესტორის ასულს — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 8.300 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

17. **ბულისკერიას** იმენ ბადრას ასულს — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.322 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

18. **ბულისკერიას** ლაისო გერასიმეს ასულს — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.109 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

19. **ვასაძეს** ჰურიე ოსმანის ასულს — ქობულეთის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.080 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

20. **ვერულიძეს** საბრიე ალის ასულს — ქობულეთის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.250 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

21. **ვერულიძეს** ჰემიდ ხუშუტის ასულს — ქობულეთის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.259 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

22. **გაგაიშვილს** სულთან იბრაიმის ასულს — ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.431 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

23. **გეგიძეს** ხატიჯე ჰასანის ასულს — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.056 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

24. **გელეკვას** ანა ვასილის ასულს — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბერმოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 10.220 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

(გაგრძელება იქნება)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სოციალისტური შრომის გმირთა—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ

1948 წელს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

1. **გორგილაძე** კარლო დმიტრის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორგონიკიძის სახელობის კოლეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 8,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.097,5 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

2. **ჯაბუა** ვასილ ბესარიონის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.202 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

3. **ჯიჯავაძე** აიშე კეზეთის ასული — სოციალისტური შრომის გმირი, ქობულეთის რაიონის ხეცუბნის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 12.833 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

4. **ქადარია** დომინიკა ერასტის ასული — სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.080 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

5. **ყუფუნია** თამარ ანდრიას ასული — სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 9.057 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

6. **მეკვია** დომენტი ესტატეს-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 23,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

7. **როგავა** ანთიმოზ მიხეილის-ძე—სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 58 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.420 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ოოთოლი.

8. **სიხარულიძე** ვასილ ვლადიმერის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, პარტიის მახარაძის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 23,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

9. **ხელაძე** ელენე სოლომონის ასული — სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორგონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 10.650 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

10. **ჭანუყვაძე** მიხეილ ილარიონის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 23,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

11. **ჭიჭიშვილი** დმიტრი ილარიონის-ძე — სოციალისტური შრომის გმირი, მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 23,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1949 წლის 29 აგვისტო.

სწავლაში ახალი წარმატებებისათვის

ხვალ იწყება ახალი სასწავლო წელი. ქუთაისში, პიონერთა ბანაკებში, გამაჯანსაღებელ მოედნებზე დასვენებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მოსწავლეები სკოლებში მივლენ და სწავლას შეუდგებიან.

სკოლისა და მასწავლებლისათვის პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვისა და დახმარების შედეგად წელს თვალსაჩინოდ განმტკიცდა ჩვენი სკოლების მატერიალური ბაზა. მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში აშენდა ახალი სასკოლო შენობები, კაპიტალური და მიმდინარე რემონტი გაუკეთდა ძველ შენობებს, დამზადდა საპირო მერხები, მაგიდები, დაფები და სხვა სასკოლო ინვენტარი. სკოლები შეიავსა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლებით. მოსწავლეები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან სახელმძღვანელო წიგნებით, რვეულებითა და სხვა სასწავლო ნივთებით. სკოლების სასწავლო კაბინეტები და ბიბლიოთეკები შეივსო მილიონ მანეთზე მეტად ღირებული თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებითა და ლიტერატურით.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების საქმეს, რომელშიც ერთსულოვნად იყვნენ ჩამბულნი საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, საწარმოები, კოლმეურნეობები, მთელი ხალხი, სათავეში ედგნენ პარტიული ორგანიზები. აბაშის, ხულოსა და თელავის რაიონების მშრომელთა ინიციატივით რესპუბლიკაში გაჩაღებული იყო სოციალისტური შეჯიბრება ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად. ენერგიული მუშაობის შედეგად მზად არის და სკოლებს გადაეცა 8.100 ახალი მერხი, 2 ათასზე მეტი მაგიდა, 5 ათასამდე სკამი, 647 კარადა. შეკეთდა 60 ათასამდე მერხი, 6 ათასზე მეტი მაგიდა, 7 ათასამდე დაფა და სხვა სასკოლო ინვენტარი.

ეჭვი არ არის, რომ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესება კიდევ უფრო გააძლიერებს სკოლაში პედაგოგიურ, სამეცნიერო და იდეოლოგიურ მუშაობას, ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას.

წელს პირველად ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლება სოფლად რვაწლიანი და ქალაქად საშუალო სკოლის ფარგლებში. ეს დიდ ამოცანებს აყენებს ყველა ლონისძიებას, რომ სკოლის გარეთ არ დარჩეს არა მარტო პირველ კლასში შესაყვანი არც ერთი ბავშვი, არამედ აგრეთვე არც ერთი ოთხკლასდამთავრებული მოზარდი სოფლად და რვაკლასდამთავრებული ქალაქად.

წელს თვალსაჩინო გარდატეხა მოხდა სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში. მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი. მთელი რიგი სახელმძღვანელოები (მაგალითად, ბოტანიკის სახელმძღვანელო მეხუთე და მეექვსე კლასებისათვის, დარვინიზმის საფუძვლების, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოები და სხვ.) ჯერ კიდევ არ არის გამოცემული. გარდა ამისა, სახელმძღვანელოების ბეჭდვის ხარისხი და მხატვრული გაფორმება ზოგჯერ საერთაშორისო დონეზე ვერ დგას. ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ გამოსწორებას მოითხოვენ.

წელს მრავალი ახალი მასწავლებელი დაიწყებს სკოლებში მუშაობას. აქედან ბევრია უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული. ისინი პირველად მიდიან ამ დიდ პასუხსაგებ საქმეშიო. განათლების ორგანოებმა, სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ მათ თავიანთი საპატიო მოვალეობის შესრულების საქმეში.

ჩვენი სკოლის თვითეული მასწავლებლის საბრძოლო ამოცანაა დაუღალავად იმეშაოს მეცნიერების საფუძვლებით მოსწავლეთა შეიარაღებისათვის, კომუნისტური სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ „მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის წარმატება ჯერ კიდევ დაბალია.., რომ ბევრი პედაგოგი ანგარიშს არ უწევს ჩამორჩენილ მოსწავლეთა ხასიათის თავისებურებას და არ ეწევა მათთან სპეციალურ მუშაობას“. ახალ სასწავლო წელს ეს ნაკლი სავსებით უნდა აღმოვფხვრათ. საჭიროა სკოლებმა ახალი სასწავლო წლის პირველი დღიდანვე იბრძოლონ ორწლიანობის წინააღმდეგ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებასთან ერთად ყველა სკოლაში ქმედითი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს რუსული ენის სწავლების არსებითად გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, „რომ არა მარტო მედალისტებმა, არამედ ყველა ახალგაზრდამ, რომელიც ამთავრებს საშუალო სკოლას, დამაკმაყოფილებლად იცოდეს რუსული ენა“ (კ. ჩარკვიანი).

ბუნებისმეტყველების, ფიზიკისა და ქიმიის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის შესწავლას საფუძვლად უნდა დაედოს თვალსაჩინობა, ექსპერიმენტი, პრაქტიკული ვარჯიში. საჭიროა ამ საგნების სწავლება ისე მოვაწყოთ, რომ განუხრელად ხორციელდებოდეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოსწავლე ახალგაზრდობაში ტექნიკური პროპაგანდის გაშლისა და ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლისადმი ინტერესის გაღვივების შესახებ.

ხვალ ასეულ ათასობით ახალგაზრდა შეუდგება სწავლას, მეცნიერების საფუძვლების დაუფლებას. აღვზარდოთ საბჭოთა მოსწავლეები ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტებად, საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებულ მოქალაქეებად, კომუნიზმის მშენებელ, მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანებად—ასეთია საბჭოთა სკოლის ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას მოითხოვენ საბჭოთა სკოლის მუშაკებისაგან ჩვენი დიადი სამშობლო, ბოლშევიკური პარტია, დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების 1949 წლის გეგმა.

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 29 აგვისტოსათვის 139,9 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების 1949 წლის გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება

ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲭᲓᲐᲜᲝᲕᲘ

(ᲗᲐᲠᲯᲣᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.)

ერთი წლის წინათ, 1948 წლის 31 აგვისტოს, შეწყდა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ანდრია ალექსანდრეს-ძე ჭდანოვის გულის ცემა.

ამხანაგ ჭდანოვის სახელი პარტიამ დაკარგა ლენინ-სტალინის დიადი იდეების უნენაერესი პროპაგანდისტი, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი.

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჭდანოვი დაიბადა 1896 წლის 26 თებერვალს ქალაქ მარიუპოლში (ამჟამად ჭდანოვი). თექვსმეტი წლის ბიჭი ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, ხოლო 1915 წელს შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში. პირველი მსოფლიო ომის დროს მობილიზებული იყო არმიაში, ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწეოდა ჯარის აცვეთა შორის, მონაწილეობას იღებდა ურალში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და ჩატარებაში.

დიდი ოქტომბრის შემდეგ პარტია ამხანაგ ჭდანოვს გზავნის პასუხსაგებ საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზე.

1934 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც ავადმყოფად მოკლულ იქნა ს. მ. კიროვი, პარტიამ ამხანაგი ჭდანოვი გაგზავნა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციაში. ამხანაგ ჭდანოვის ხელმძღვანელობით ლენინგრადელმა ბოლშევიკებმა განაადგურეს და აღმოფხვრეს ხალხის მოსისხლე მტრების—საზიზღარ ტროცკისტ-ბუხარინელ გამცემთა ხროვა.

დიდი სამამულო ომის წლებში ამხანაგი ჭდანოვი პარტიის, მთავრობისა და დიდი სტალინის დავალებით სათავეში ედგა ლენინგრადის დაცვას. ბლოკადის მძიმე დღეებში მან დარაზმა გმირი ქალაქის დამცველთა მთელი ძალები და მათი ნება და ენერგია ფრაზართა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად.

1925 წლის დეკემბერში პარტიის XIV ყრილობაზე ა. ა. ჭდანოვი არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, 1930 წლის XVI ყრილობაზე — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

XVII ყრილობის შემდეგ (1934 წლის იანვარი) მას ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად და მას შემდეგ უცვლელად შედის პოლიტბიუროს შემადგენლობაში.

დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ამხანაგი ჭდანოვი კომეფლნზმის საქმისათვის მუზეგბრივ მებრძოლი იყო. ამხანაგი ჭდანოვი შედიოდა ბოლშევიკური პარტიის იმ ხელმძღვანელ ბირთვში, რომელმაც ელადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დაიცვა და უფრო მაღლა ასწია ლენინური დროშა, დარაზმა პარტია და საბჭოთა ხალხი ლენინური ანდერძის გარშემო და სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა.

მკზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმით, სიამაყით ჩვენი პარტიისათვის, კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ხალხისათვის იყო გამსჭვალული ამხანაგ ჭდანოვის ყველა სიტყვა, გამოსვლა და მოხსენება.

ამხანაგი ჭდანოვი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე იყო. იგი ეწეოდა დაუღალავ ბრძოლას მთელი დემოკრატიული ძალების დასაარსებლად ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

„მსოფლიოს ხალხებს არა სურთ ომი, — ამბობდა ამხ. ჭდანოვი,—მშვიდობის მომხრე ძალები ისე მნიშვნელოვანი და დიდი, რომ თუ ეს ძალები შეუდრეკელი და მტკიცე იქნებიან მშვიდობის დაცვის საქმეში, თუ ისინი გამძლეობასა და სიმტკიცეს გამოიჩენენ, ომები აგრესორთა გეგმები საესებით ჩაიფუშება“.

ამხ. ჭდანოვმა პარტიისა და ყველა მშრომელების მხურვალე სიყვარული დაიმსახურა, იმიტომ, რომ უსაზღვროდ ერთგული იყო ლენინ-სტალინის დიადი საქმისა, იმიტომ რომ მეზნებარე ენერგიით იბრძოდა ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის, მშრომელთა ნათელი და საამური ცხოვრებისათვის, კომუნიზმისათვის.

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჭდანოვი საბჭოთა ბავშვების დიდი მეგობარი იყო. მას ძალიერ უყვარდა ბავშვები, ზრუნავდა მათთვის. ამხ. ჭდანოვი განსაკუთრებით ზრუნავდა ხვდებოდა ლენინგრადელ ბავშვებს, ეწეოდა ხოლმე მათს საუცხოო სასახლეს — პიონერთა სასახლეს, ისმენდა პიონერთა სიმღერას, დეკლამაციას, ცეკვას, ათვალიერებდა მათს ნახატებს და ამბობდა: „როგორც საუცხოო ბაღის ყვავილები, ისე ჰყავხეს ბავშვთა ნიჭი და უნარი ტალანტური ჰზრუნველობის ზრდის ქვეშ“.

პიონერებისა და მოსწავლეების საზით ამხანაგი ჭდანოვი ხედავდა ჩვენი ლენინური ახალგაზრდობის ერთიანობის, ერთ-ერთ ერთ-ერთ ერთ-ერთ

საბჭოთა მთავრობის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი

(დასასრული)

რაც ამ ელექტროსადგურებს აქვთ იუგოსლავიის ელექტრომომარაგებისათვის. ყვავეისა და ლაბოდის ელექტროსადგურები აშენდა ომამდე, ძირითადად ომის დროს, გერმანელი ფირმის ალპენ ელექტროვერკე აქციონერულ საზოგადოებამ, 1926, ამასთან 1926 წლის კონცესიის საფრანგეთიდან, რომლითაც აფასრიის ნაკისი ქონდა არ იქმნებინა დრავაზე არაფერი იუგოსლავიის წინასწარი თანხმობის მიღებლად. მაშასადამე ეს ელექტროსადგურები წარმოადგენენ გერმანიის საკუთრებას აფასტრიის დასავლეთ ზონაში, სადაც, დანარჩენ სახელმწიფოებს გარდა, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარიზის სარეპარაციო კონფერენციის გადაწყვეტილებას, იუგოსლავიის ფედერაციულმა სახალხო რესპუბლიკამაც უნდა მიიღოს თავისი რეპარაციების ნაწილი. შემდეგ, ეს ელექტროსადგურები აშენებენდა ისე, რომ მზედგელობაში არ არის მიღებული იუგოსლავიის ელექტრომეურნეობის საჭიროება, და ეკონომიკურობის ამჟამადელი რეჟიმის პირობებში მათ უდიდესი ზარალი მოაქვთ — ცალკეულ თვეებში დაახლოებით ერთი მილიონი კილოვატსაათი.

საკითხი შეიძლება გადაწყდეს მეტიც საერთაშორო შესწორებით, რისთვისაც გიდგენენ ორი ვარიანტის პროექტი, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, იგი შეიძლება გადაწყდეს ამ საფრთხეებს მართვაში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისათვის განსაკუთრებული უფლებების დაფვენით. თან გაჩნდა ერთი ასეთი რეკომენდაციის.

მეორე საკითხი შეეხება კონფლიქტი ლაჩენენების ნაციონალური უფლებების განსაკუთრებულ დაცვას, მოცული ამ გამოდგილების შემდეგ, რაც სლოვენსა ხალხმა ავსტრიაში მიიღო, შეიძლება დანამდაღლენი ჩავთვალოთ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დაიწყება გაძლიერებული გიგერმანელების ცდები. ის დემაგოგიური ლინინძეებანიკი (მაგალითად, სკოლების აღდგენა არ ენაზე), რომლებიც ავსტრიამ წამოიწყო კარინთიაში, გერმანიის დამარცხების შემდეგ, თუნდაც ძალადგზე, ამ მიზნით, რომ თავი მოეჩვენებინა შემწყნარებლად ნაციონალურ საკითხში, უკვე დღეს ფაქტურად აღ ხორციელდება. ამ მიზეზზი, დიდი მნიშვნელობა ენენებოდა იმისს, თუ ხელშეკრულებაში მიღწეული აქვნდოდა, რომ ის ლინინძეებანი, რომლებმაც უკვე კანონის ძალა მიიღეს, შეესებული ყოფილიყო და ხელშეკრულების შემდგენელი ნაწილის სახით მალიანად მოქცეულიყო ოთხი სახელმწიფოს კონფერენციებზე. თან გაჯანეკში ერთი ასეთი რეკომენდაციის ეს.

I ვარიანტი

პირველი ვარიანტი მოიცავს ალიბორგის (ლუბიანერგი) სასამართლო მაზრას, ტერიტორიას აფსტრია-იუგოსლავიის ახლანდელ სახელვარს, ფრავეთა და ბისტრიციას (ფასტერიცი) თემის დასავლეთ ‘ასოფლოსა და ბლატის (ბოოსი) შეფა, და ფრავეს ჩრდილოეთ მხრიდან, ლაბოდის (ლაგამუნდეი) თემს და რუდეს (რუდენი) თემის ამ ნაწილს, რომელსოფისაც დასამხარია ფრავა, და თემის დანარჩენი ნაწილისაგან ბოგოფელი ხაზით, რომელიც მიჰყვება თხემს 882 მალლიზეზ. ამრიგად შედგენილი ტერიტორია 210 კვადრატული კილომეტრია და ავსტრიის 1934 წლის აღწერის თანახმად იქ 9.396 მეცხოვრებია.

აღნიშნული ტერიტორიის ეთნიკური შემადგენლობა შეიძლება დაწერილებით იქნას განხილული დარეფილი ცხრილებიდან. ავსტრიის 1910 წლის აღწერა, რომელიც, როგორც ცნობილია, სლოვენთა სახალხოდ იყო ჩატარებული, მაინც უჩვენებს სლოვენთა აშკარა უმრავლესობას ამ ტერიტორიაზე (6.696 სლოვენი, 2.878 გერმანელი).

1920 წლის ჰოუბისციტის დროს ამ ტერიტორიაზე უმრავლესობამ ხმა მისცა იუგოსლავიის სასარგებლოდ.

II ვარიანტი

მეორე ვარიანტი მოიცავს დრავის სამხრეთით — ლიბელიჩეს (ლაიფნენგი) და ეკაბეკის (შვაბეკი) თემებს და დრავის ჩრდილოეთით — ლაბოდის (ლაგამუნდეი) თემს და რუდეს (რუდენი) თემის მცირე ნაწილს. ეს ვარიანტი მოიცავს დაახლოებით 63 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას და ავსტრიის 1934 წლის აღწერის თანახმად იქ 3.150 მცხოვრებია.

ეთნიკური შემადგენლობა ცოტა უარესია, ვიდრე I ვარიანტში, ვინაიდან ლაბოდის თემი, რომელშიც იქ ვარიანტის თანახმად მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს, ძალიან იყო გაგერმანებულები".

4. იუგოსლავიის მთავრობა თავის 20 აგვისტოს ნოტაში საბჭოთა მთავრობისადან მოითხოვს, რომ იგი განსაკუთრებულ პატიჟისცემას ან სიყვარულსაც ან იჩენდეს მისადმი, რომ ეს პატივისცემა და სიყვარული გამოხატულებას პოულობდეს იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა ნოტებში, რომ ნოტები არ შეიცავდნენ ისეთ რამეს, რასაც შეეძლოთ შელახოს იუგოსლავიის მთავრობის თავმოყვარეობა ან შეურაცხყოფა იგი. იუგოსლავიის მთავრობა ითხოვს, ამას „საერთაშორისო ნორმები“ მოითხოვენ.

საბჭოთა მთავრობა იძულებულია აღნიშნოს, რომ იუგოსლავიის მთავრობა მისგან შეუძლებელს მოითხოვს.

ყველასთვის ცნობილია, რომ იუგოსლავიის მთავრობა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკიდან იმპერიალიზმისა და ფაშიზმის ბანაკში გადაპარეგდა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ადამიანები და საბჭოთა საზოგადოებრიობა პატიჟისცემით არ ეკიდებიან დეზერტირებს. მათ უმეტეს, მათ არ შეუძლოთ დეზერტირებისადმი ჭკვიდეთ სიყვარულის მზგავსი რაიმე გრძნობა. უფრო მეტიც: ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა ადამიანებს და საბჭოთა საზოგადოებრიობას ეზიზღებათ დეზერტირები.

რა თქმა უნდა, დეზერტირები სხვადასხვაგვარი არიან ხოლმე. არიან შემთხვევითი დეზერტირები, რომლებიც დეზერტირები გახდნენ ლაჩრობის გამო, რათა თავიანთი ტყავი გადაერჩინათ. არიან ხოლმე სხვაგვარი დეზერტირებიც, ბოროტი დეზერტირები. ესენი ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც დეზერტირებად ხდებიან არა მარტო იმისთვის, რომ ტყავი გადაირჩინონ, არამედ იმისთვისაც, რომ ზიანი მოეტანონ იმ ბანაკს, საიდანაც გაიქცნენ. რა სამწუხაროც უნდა იყოს, იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ადამიანები და საბჭოთა საზოგადოებრიობა იუგოსლავიის მთავრობას მიაკუთვნებენ სწორედ ასეთ ბოროტი დეზერტირებს კატეგორიას.

შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ ბოროტი დეზერტირებიც სხვადასხვაგვარი არიან ხოლმე. არიან ბოროტი დეზერტირები, რომლებიც გონიერნენ თავიანთ დანაშაულს, მძიმედ განიცდიან თავიანთ სამარცხვინო საქციელს და ცდილობენ შეუმჩნეველი დარჩნენ, ცდილობენ თვალში არ ეჩხირებოდნენ, თითქმის მორიდებულად იქცევიან. მაგრამ არიან ისეთი ბოროტი დეზერტირებიც, რომლებიც თავიანთ სამარცხვინო საქციელზე ამაყობენ, ამ ბოროტ დეზერტირებს, ეტყობა, ეგონებათ, რომ ეს ბოროტობა, ეს ბოროტობა ეხმარებათ, ეხმარებოდა, ეხმარებოდა, ეხმარებოდა

სლოვაკიის ეროვნული აჯანყების მე-5 წლისთავის დღესასწაული

პრაღა, 29 აგვისტო. (საყდესი). გუშინ სლოვაკიის ეროვნული აჯანყების მე-5 წლისთავის დღესასწაულის მონაწილეებმა, რომლებიც რესპუბლიკის ყველა კუთხიდან — ნაბოლოდ, დათვალიერეს გრონსკა ფუბარა-ბანსკა შტიავნიცის გზა, რომელსაც ახალგაზრდობა აშენებს. ამ გზის მშენებლობაზე ჩამოვიდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ილინი, პრემიერ-მინისტრი ზატოტოკეი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სლანსკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე შირიკი, სლოვაკიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე შმიდეი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში მ. სალიანი, სახალხო დემოკრატიის კვეყნების ელჩები და დიპლომატიური წარმომადგენლები, სსრ კავშირის სლოვაკი კომბინატის დელეგაცია და ბევრი სხვანი. სტუმრებმა დათვალიერეს გზის მშენებლობა, რასაც ეწვიან ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდების კავშირის მოზალისეთა ბრიგადები პოლონეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, საფრანგეთისა და მთელი რიგი სხვა კვეყნების ახალგაზრდობის ბრიგადების მონაწილეობით.

გზის 6 ათასი ახალგაზრდა მშენებლისა და სლოვაკიის ეროვნული აჯანყების მე-5 წლისთავის დღესასწაულის მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა კ. გოტვალდმა.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი მრავალთასიანი მიტინგი შეფერა აგრეთვე პოდბრეზოვაში. მიტინგზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კ. გოტვალდი. მიტინგის მონაწილეები მხურვალედ შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩს ჩეხოსლოვაკიაში ვ. სალიანს, ბულგარეთის, ალბანეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, ალბანეთის, საფრანგეთისა და მთელი რიგი სხვა კვეყნების ახალგაზრდობის ბრიგადების მონაწილეობით.

ბუნის 6 ათასი ახალგაზრდა მშენებლისა და სლოვაკიის ეროვნული აჯანყების მე-5 წლისთავის დღესასწაულის მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა კ. გოტვალდმა.

პრეზიდენტ კ. გოტვალდის სიტყვა

პრაღა, 29 აგვისტო. (საყდესი). 27-დან 29 აგვისტომდე ბანსკა ბისტრიცაში, პოდბრეზოვაში, ზვოლენში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში, სადაც ხუთი წლის წინათ სლოვაკმა ხალხმა გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის დროშა აღმართა, აგრეთვე სლოვაკიის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და სოფლებში შედგა ეროვნული აჯანყების მე-5 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგები და კრებები. ამ წლისთავის დღესასწაულში გადიოდა სოციალიზმის შშენებლობის გზაზე დამდგარი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისაში სლოვაკი ხალხის ეროვნულის მკაფიო დემონსტრაციად, ბანსკა ბისტრიცისადმი, ხალხთა კავშირისადმი, ხალხთა მეგობრობისა და გამმაგიერთფულებლობისადმი ერთგულების ნიშნად. ამ წლისთავის ღირსეულად აღინიშნა სლოვაკი ხალხის ერთგულება ეროვნული ოკუპაციისადმი. პატიოსანი ბრძოლა ეროვნული ოკუპაციის ბოროტებისა და ტანჯვა-ვაგლახის ნინააღმდეგ,